

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10—	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაბათი

# ივერია

რედაქცია:  
ნიკოლოზის ქუჩა, კარაგაძის  
ტფილისში  
გაზეთის დასაბარებლად  
და განცხადებათა დასაბეჭდად  
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვა  
გამორც. საზოგადოების კანცელარიის  
ფასი განცხადებისა:  
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ  
16 კობ., მეოთხეზედ—8 კობ.

„ივერია“ ტელეფონი № 227

„ივერია“ ტელეფონი № 227

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 17 ნოემბერს.

ამ ნომერში 18 გვერდია.

ვასილ როინაშვილი და ბაიანე წიკლაურისა ამით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ დღეს, 14 ნოემბერს, დიდუბეში წირვის შემდეგ გარდახდით იქმნება ნახევარის წლის პანაშვილი

## ალექსანდრე როინაშვილის

სულის მოსახსენებლად.

ორშაბათს, 16 ნოემბერს, სიონის ტაძარში გარდახდით იქმნება წლის წირვა და პანაშვილი კავალეროსანის დამის, გენერალ-მაიორის ქვრივის

## კნინა ქეთევან გიორგის ასულის ჯამბააშურ-ორბელიანის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განცხადებულის შვილნი: ქვრივი გენერალ-ადიუტანტისა კნინა ალექსანდრა მაკარის ასული მელიქიშვილისა, ქვრივი გენერალ-ადიუტანტისა ბარბარე მაკარის ასული თარხან მუსურაშვილისა, თავადი გენერალ-მაიორი ივანე აბაშის ძე და სამსახურს გარეშე მყოფი შიორი კონსტანტინე მაკარის ძე ჯამბააშურ-ორბელიანის. წირვა დაიწყება დღის 10 საათზედ. (1—1)

# „ივერია“

გამოვა 1899 წელსაც

ივანე პროზაიკით, როგორც წინადა.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

„ივერია“ რედაქცია,

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ქართულთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელთა კავშირისა და სახალისო ქუჩა, ბანკის ქარვასლა და ბაქოში, სადღეგულის წიგნის მდარეაში, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ქალანთა-როვის ქარვასლის ბინა-ში.

ტელეფონი № 227.

საფოსტო ადრესი:

ТИФЛИСЬ. Редакция „ИВЕРΙΑ“.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა (კუთხაში, ვორთკოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილი-სი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩაქვაძე, 9—10 საათ. სწე-ულბანი: თვალისა, შინაგანი და ნერ-ველისა.

ბ. ა. ბაბახანაშვილი. — დღის 11—12 ს. ქალთა სწეობა ავადმყოფებს.

ა. თ. შარტავაძე — 12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ბ. ბ. კანაშვილი. 1—1 1/2 სა-ათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ბ. გ. გურგია. 1 1/2—2 1/2 ს. ში-ნაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

სადამოაბით:

გ. მ. მახვილაძე. — 6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შავაკაძე — 6—7 საათ. ნე-რვების (ელექტროტერაპია), ვენე-რიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი — 6 1/2—7 საათ.

ტ. ი. რუდეკა — სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროს-კოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწე-რის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფა-სოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციების-ათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოში დოქტო-რი მკვდრისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница Д-ра На-васардиана.

Тифлиς, противъ памяти. Воронцову

(7)

ტფილისი, 13 ნოემბერი

ამ უკანასკნელ წლებში ევროპის დიდ სახელმწიფოთა ინტერესები თითქმის მიყრდნობა შიგ ვეროპაში. ის ტკივილები, რომელიც აუჩინა სფ-რანგეთს გერმანიამ 1870 წ. ცოტად თუ ბევრად დაყუჩდა. დრო და ხანი დიდა წაშლია ამისთანაებისათვის. საფრანგეთმა ვერც იმისთანა მომხრე-ები იშოვა, რომ მათის იმედით გა-მკლავებოდა გერმანიას და ჯავრი ამოეყარა და ვერც მარტოკამ იგრ-ძნო თავი ესოდენ ღონიერად, რომ სამაგიეროდ გადახდის სურვილი მო-ეცა. მას აქედ 28 წელიწადი გავი-და და ეს საკმაო ხანია, კაცს ყოვე-ლი ტკივილი. თუ სრულიად არ დაავიწყოს, გაუნელოს მანც. ამ მხრით ევროპის მშვიდობიანობას არავითარი შიში არა აქვს ჯერ ხა-ნად მანც.

შიშს წარმოადგენდა მარტო ეგ-რედ წოდებული ანლო აღმოსავლეთის საქმე, შიშს საყოველთაოვს. სავანი ამ ანლო აღმოსავლეთის სა-ქმისა იყო შიგნით დაუწყობელი და გარედ უღონო ოსმალეთი, რომლის ნაჭრ-ნაჭერ დაფლეთას დღე ყოველ ეტანებოდნენ ევროპის სახელმწიფო-ნი. დღე ყოველ იმის მოლოდინში იყვნენ, — დღესა თუ ხვალე სული უნდა ამოხდეს ამ სნეულს სახელ-მწიფოსა და დიდი და პატარა ხელს იწვდიდა ამ დაბალ ღობისაკენ, იქ-ნება მისის სამკვიდროსგან მეც რამე ვირგუნო და გაყოფის დროს უწი-ლოდ არ დავიჩიო. თვითუფლის სი-ხარბემ, ერთმანეთის შურმა და მტრო-ბამ ეს ადრე და მალე ანდერძ აგე-ბული ოსმალეთი გადაარჩინა დაფ-ლეთისა და დანაწილებისაგან. რაკი თვითვეულმა ცალკე სახელმწიფომ დანახა, რომ მე იმ წილს არ დამ-ნებებენ, რის სურვილიცა მაქს, დღე ეს ცოცხალ-მკვდარი სამფლობელო ფადიშაჰისა ისევე პატრონს ეჭიროს. მართალია, ამ ბოლოს ხანებში კრი-ტის კუნძული-კი ჩამ იათალეს საბე-რძნებზე გამარჯვებულს ოსმალეთსა, მაგრამ არც ერთს დიდს სახელმწი-ფოს არ არგუნეს, თუმცა არც ერთს მათგანს ყელზე არ დაადგებოდა და დიდის სიხარულით დაადებდა პირს ამ ნოყიერ ლუკმისათვის. აიღეს და ის კუნძული თითქმის ცა-ლკე სახელმწიფოდ შექმნეს ისე კი, რომ სახელი ფადიშაჰისა იყოს და სახრავი კი თითქმის საბერძნეთისა.

თქმა არ უნდა, რომ შესაძლოა ტყვია-წამლის სუნმა კიდევ იჩინოს თავი შიგ ვეროპაში ამავე ოსმალე-თის მიხედვით, რადგანაც რიგზე მო-დგა მაკედონიის საქმეც, საცა მშვი-დობიანობის დარღვევის შიში მეტად ცხადია და ძალიან ადვილად მოსა-ლოდნელი. მაკედონიაც იძვრის და ტოკავს უწყეს-რეგობის გამო. იქაური ქრისტიანები დღე მუდამ ჰკანკალებენ თავისის სიცოცხლისა და ქონე-ბისათვის მპაჰლიანთა შიშისა და

მუქარისაგან. კრიტის ჩამორიგების გამო გამწარებულნი და გაჯავრებუ-ლნი ოსმალნი, რომელნიც დღეს აქამომდე უამისოდაც აწიოკებდნენ იქაურ ქრისტიანებს, დღის ამას იქით უარესს იქმონენ: რბევას, დაწიოკებას, ხოცვა-ჟლეტას არ და იშლიან, აირევა ქვეყანა და არეგს მთელს ბალკანეთსა, რადგანაც თვი თვეულს ბალკანეთის სახელმწიფოს მაკედონიაში თავისი ინტერესები და ტკივილები აქვს. ესეთი ვითარ-ბა მაკედონიისა დიდს რეფორმებსა ჰთხოვლობს, რომ იქაური ერი და-წყნარდეს და ყოველსავე მისალო-დნელს განსაცდელს მიზეზი მოვლენისა გაუქროს. ევროპის დიპლომა-ტიის იმედი აქვს, რომ უსისხლოდ მოაგვარებს მაკედონიის საქმეს და ოსმალეთს იძულებულს ჰყოფს საქი-რო და შესაფერი რეფორმები მოა-ხდენინოს სხენებულ ქვეყნის და-სამშვიდებლად.

ამ სახით შიგ ვეროპაში საქმე ისე არსად არ არის ჯერ ხანად გამწვა-ვებული, რომ ხაზა და ლარი დღე-ვანდელის პოლიტიკისა ამ საქმეების მიხედვით გაიბას. სულ სხვაა ევრო-პის გარედ. რაც უკანასკნელ ხანე-ბამდე დიდთა სახელმწიფოთათვის ოსმალეთი იყო ევროპაში, ესლა აფრიკა და ჩინეთი. აფრიკა თითქმის სრულიად გაინაწილეს. ინგლისმა დაიჭირა აქ დიდი ადგილი და ჩრდი-ლოეთიდან სამხრეთამდე ჰლამის ხელთ იგდოს ეს ქვეყანა, საფრანგეთი იჭერს აღმოსავლეთიდან თითქმის დასავლეთამდე, გერმანიამაც წილი დაიღო, იტალიამაც, თუცა ამ უკანასკნელის სიხარბეს კბილი მოსჭრა აბაშეთის ქვეყანამ დაადუბე ომში ქუდიო ქვა ასროლინა. ამავების გამო ქველი ევ-როპის დიდ-სახელმწიფოთა ინტერესებისა აქ აფრიკაში გაიბა დღეს და არავინ იცის დაპირისპირება და შე-ჯახება ამ ინტერესებისა რას მოა-ვლენს მერმისს. ფაშოდის ამბავს აქ ჯერ ბოლო და დასასრული შორს უჩანს, თუმცა დღეს ფაშოდზე ხელი დაბანინა ინგლისმა საფრანგეთს და ცალიერ მუქარით დამარცხებული იქილამ გამოაძევა.

მართალია, ფაშოდი თავის თავად დიდი არაფერია, ერთი რაღაც სოფ-ლის მზგავსი უხვირო ქალაქია თეთრ ნილოსის კუნძულზე, მაგრამ დიდ მნიშვნელობიანია, ვით რცა სადგური ჩრდილო აფრიკადამ მიმავალისა სამ ხრეთისკენ და აღმოსავლეთიდან და-სავლეთისკენ. ნუ დავივიწყებთ, რომ საფრანგეთის ადგილები აფრიკაში აღ-მოსავლეთიდან დასავლეთისკენ არის და ინგლისისა ჩრდილოეთიდან სამხრე-თისკენ. აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ რომ ძაფი გააბათ ერთის მხრით და მეორეს მხრით ჩრდილო-ეთიდან სამხრეთამდე, ძაფები ერთმა-ნეთს გადაეჯვარება სწორედ ფაშო-დზე. აქედამ აშკარაა, რა ძვირად უნდა უღირდეს ცალკე საფრანგეთსა და ცალკე ინგლისს ეკ რაღაც ფა-

შოდა. უმავსოდ აღმოსავლეთიდან ძნელი მისაწვდენია დასავლეთი და ჩრდილოეთიდან სამხრეთი და აქ ჩადგო-მა ერთისა და მეორისათვის არსებითი საჭიროებაა, რადგანაც ერთის აქ ყო-ფნა მეორისათვის გზის გადა-ლობას და კრიკაში ჩადგომის მოასწა-ვებს. აქ აფრიკაში გერმანიაც მონაწილეა და ამის გამო ერთის მხრით საფრანგეთთანა აქვს საქმე და მეორეს მხრით ინგლისთან. ვის არ ახსოვს რა ყოფა დააწია გერმანიამ ინგლისს ტრანსვალის რესპუბლიკის გამო, რომელსაც ინგლისმა ხელი წაატანა და ჰლამოდა თავისად გა-მოყენებას. ამას წინად კი ამბობდნენ, გერმანია აფრიკაში მიემხრა ინგლი-სსაო და მხარს უჭერსო. ვინ იცის, მართალია ეს ამბავი, თუ ტყუილი, ხოლო დაუჯერებელი კი აქ არ არისრა.

ჩვენ თუ ყოველ ამ გარემოებას აქ ვიხსენიებთ, მარტო იმისთვის, რომ აღვნიშნოთ—აფრიკაც შესაძლოა გახდეს მიზეზად შუღლისა და ჩხუბი-სა, რადგანაც ნიადაგი ამისათვის უკ-ვე აწილილია და მომზადებული. აღა-რას ვიტყვით ევგვიტისას, რომლისსა. ქმეც დღესა თუ ხვალ უსათუოდ ფეხზე წამოდგება მთელის თავისის სიგძე-სიგანითა და ჩითრეგს არა მა-რტო ინგლისსა და საფრანგეთს. ამ სახით აფრიკის საქმეც დღეს ისეთი განსაცდელიანი საქმეა, რომ შეუძ-ლიან სულ ახალი მტერ-მოყვრობა ჩამოავდოს ევროპის დიდთა სახელ-მწიფოთა შორის. მეორე განსაც-დელიანი საქმე ჩინეთის საქმეა. ამაზე შემდეგ ნომერში მოვილაპარა-კებთ.

## მთავრობის განკარგულშეანი

დანიშნულ იქმნა: თუქქისის რე-ნოსანთა დივიზიონის შტაბის რეკრუტის მარლანია — რუსეთ-საზარსეთის სა-ზღვარზედ რუსეთის გამოსარდა.

## ახალი ამბავი

\* ხვალ, 15 ნოემბერს, ავქალის ქუჩაზედ, სახალხო კითხვების სად-გომში, გამართული იქმნება ქართულ ენაზედ სახალხო წარმოდგენა. წარ-მოადგენენ მოლიერის კომედიას „კრიკანგს“.

\* 12 ნოემბერს, საღამოთი, ქა-ლაქის საბჭოს საგანგებო კრება ჰქონდა, რომელმაც, წარსულ კრე-ბის ანგარიშის მოსმენის შემდეგ, ბელგიის უსახელო საზოგადოების იერ ქალაქის ცხენის რკინის გზის იჯარით აღების შესახებ ხელშეკრუ-ლობის პროექტის განხილვა განაგრ-ძო. წაკითხულ და თათქმის უცვლე-ლად დამტკიცებულ იქმნა პროექ-ტის § 3—28.



მთელი პროექტი 57 მუხლისაგან შედგება; და რადგან წარსულს ორს კრებაზედ მხოლოდ 28 მუხლის განხილვა მოასწროს საბჭომ, დანაშთენ მუხლების განხილვასაც, უთუოდ, 1-2 საღამო მოუწოდება.

ამას წინადაც ვსწერდით, რომ კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას აზრად აქვს გამართოს ტფილისში სასოფლო-სამეურნეო იარაღის საწყობი. ეხლა „ტფ. ფურ.“ სწერს, რომ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ გარდასწყვიტა დაეხმაროს საზოგადოებას და გადასდოს ყოველ წლივ ამ საქმისათვის ფული.

როგორც ახალციხიდან მიღებულ ოფიციალურის ცნობებიდან სჩანს, ამ მიზნად საქონლის კირი მისუსტებულა. ამ ყამად საქონლის კირი მხოლოდ სოფელ წრეშიდა, სადაც პირველ ნოემბრიდან 8 ნოემბრამდე 11 სული კირიანი საქონელი დაუბოცნიათ.

ამას წინადაც ვსწერდით, რომ ტფილისის გუბერნიის ოთხის მარის თავად-აზნაურთა კრებამ უკვე წარმოსთქვა თავისი აზრი ჩვენს ქვეყანაში ერობის შემოდების შესახებ და თავისი გარდაწყვეტილება გამოუგზავნა გუბერნიის წინამძღოლსაო. ამ დღებში გუბერნიის წინამძღოლს ორის დანარჩენ მარის—ბორჩალოსა და დუშეთის თავად-აზნაურთა კრებების დადგენილება მიუღია ამავე საგნის შესახებ, ასე რომ ეხლა შესაძლებელია გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება იქმნას დანიშნული ამ მეტად საყურადღებო და სასარგებლო საქმის განსახილველად და გარდასაწყვიტად.

დღეს, 14 ნოემბერს, საღამოს 7<sup>1</sup>/<sub>2</sub> საათზედ, სამეურნეო საზოგადოების სადგომში კრება ექმნება სახალხო კითხვების კომისიის წევრებს. კრებამ უნდა განიხილოს დროებით არჩეულ კომისიის პროექტი სახალხო წარმოდგენების გამართვის შესახებ.

გუშინ, 13 ნოემბერს, ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინა ქალაქის ორის ღამის თავ-შესაფრის ღამის გამთავებელთ აღარ მიეცეთ ჩიი, ჩაქარი და პური, რადგანაც ის თანხა, რაც გამგეობას ამ საქმისთვისა ჰქონდა, სრულიად დაიხარჯა.

გუშინ, 13 ნოემბერს, ქალაქის გამგეობამ აცნობა წარჩინებულ კაცთ, ტფილისის გუბერნატორს, ვიცე-გუბერნატორს, მკურნალებს, რომ ხვალ, 15 ნოემბერს, აკურთხებენ თავ-შესაფრის სულით-ავადმყოფთათვისაო, და სთხოვა მათ დაესწრენ კურთხევას.

ტფილისში ჩამოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოგზავნილი სამი ბეთალი.

ტფილისის ოლქის სასამართლომ უკვე განიხილა საქმე ასკერ და ისმაილ ზინალოვებისა, იოსებ სედლეცისა, სტეფანე ვარტარონოვისა და საღამან ნარინაოვისა, რომელთაც ყალბის ფულის მოჭრა და გასაღება ჰბრალდებოდათ. სასამართ-

ლომ ყველანი დამნაშავედ სცნო და მიუსჯა: პირველ ოთხს—კატორგაში გაგზავნა, ხოლო ნარინაოვს—პატიმართა რაზმში დაპატიმრება. დასჯილთ აზრად აქვთ საქმე სამოსამართლო პალატაში გადაიტანონ.

კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ 17 კაცისაგან მიიღო თხოვნა ტფილისის სახალხო სკოლის გამგის თანამდებობაზედ გამწესების შესახებ.

ქალაქის გამგეობამ ამის წინადაც 1300 მანეთი გადასდო პოლიციის-ტერის სადგომის დასაქირავებლად, რადგანაც ძველი სადგომი ვიწროა. გუშინ, 13 ნოემბერს, პოლიციის-ტერმა აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ ჩემის კანცელარიისთვის სადგომი უკვე შევიგულეთ, ქვეყნადის ქუჩაზედ. ეს სადგომი წელიწადში 1500 მანეთი ეღირება. თუ ქალაქის თვითმართველობა თანახმა იქნება. ძველს სადგომს დავცილი და კანცელარიას იქ გადავიტანო. გამგეობა ამ საგანს, 16 ნოემბერს წარუდგენს საბჭოს განსახილველად.

ქალაქის გამგეობამ, განიხილა რა ვერის პირველ საკვირაო სკოლის დამაარსებელთა შუამდგომლობა, დაადგინა გადასდოს ყოველ წლივ ამ სკოლის სასარგებლოდ 200 მან.

ნავთლუხის მღვდლის იოსებ გიგავიძის სახლში უნახავთ ერთი ძველი სურათი, ფერადის წამლებით დაბეჭდილი 1840 წლებში, რომელზედაც დახატულია თამარ მეფე, ქართლის აწინდელის ქალთა ტანთსაცმელით და გარშემო დახატულები არიან თითო კაცი მისის ქვეშევრდომების: სპარსი, ოსმალი, ლეკი, ქართველი, სომეხი და მთიელი. სასურველია, რომ ეს სურათიც, ასე იყოს გამოკვეთილი.

კონსტანტინეს გამაჯუნელ ინსტიტუტში, როგორც ყველა სხვა უმაღლეს სასწავლებელში, დაარსებულია კავკასიელ მოსწავლეთათვის კავკასიის სტიპენდია. დღემდის ეს სტიპენდია არავის მიუღია, რადგანაც ამ სასწავლებლებში კავკასიელი არავინ შესულა. ეხლა გაზ. „კავ.“ ს სიტყვით, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს აზრად აქვს შუამდგომლობა აღძრას იმის შესახებ, რომ ეს თავისუფალი სტიპენდია დაენიშნოს სხვა რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის კავკასიელ სტუდენტს.

განჯიდგან სწერენ „კავ.“-ს, რომ აზრად აქვთ აქ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის განყოფილება დააარსონო.

სოხუმიდან სწერენ „ჩერნ. ვ.“-ს, რომ 7 ნოემბერს, ღამე, ვიდაც ბოროტ-გამზარახველთ აქმართლმადიდებელთა ეკლესია გაჰქურდესო. ქურდები ეკლესიის გუმბათზედ ასულან, იქ ფანჯარა გაუტეხიათ და თოკით ერთი თავის ამხანაგი ჩაუშვიათ შიგ ეკლესიაში. ამ უკანასკნელს გაუტეხია საკურთხეველში ფულის ყუთი და წაუღია იქიდან 350 მანეთი. ქურდები ჯერ არ აღმოუჩნიათ.

ფაილიდან სწერენ „ახ. მ.“ ს, რომ ფოთის ქალაქის გამგეობის მიერ

შემუშავებული პროექტი ძალღებზედ გარდასახადის დაწესების შესახებ უკვე წარედგინა ქუთაისის საგუბერნიო აღმინისტრაციის განსახილველოდაო.

პარიზის „Revue Encyclopédie La Russe“-ს კვირის გამოცემაში სტამბოლელს სომეხთა ახალგაზდა მწერალის სომეხთის შესახებ წერილების ბეჭდვა დაუწყია. სხვათა შორის იქ ეხლა დაბეჭდილია წერილები, სადაც აღწერილია სომეხთი და მისი წარსული, მწიგნობრობა, შინაგანი და გარეგანი ვითარება და იქვე აღწერილია ბაგრატიონების გვარის ისტორიაც.

როგორც სსსანიტარო სამეურნეო ინსპექტორის ცნობებიდან სჩანს, ტფილასში ამ უკანასკნელ ოთხ დღის განმავლობაში ევადადით 25 ადამიანი გამხდარა აჯად.

რედაქციამ მიიღო ქართველ მწერალთა სურათების ჯგუფი, გამოცემული რინაშვილის ფოტოგრაფიაში მოსამსახურის ფოტოგრაფის აზრამ ნორდშტეინის მიერ. ჯგუფში მოთავსებულია ოცის მწერლის სურათი; შუაში შოთა რუსთაველის სურათია, ხოლო აქვთ-იქიდან-ი: გ. ორბელიანის, ვ. ორბელიანის, ა. ქავჭავაძის, დ. ყიფიანის, გ. ერისთავის, ა. ყაზბეგისა, წინა ორბელიანისა, მ. გურიელისა, ეგ. ნინოშვილისა, რ. ერისთავისა, აკ. წერეთლისა, ი. გოგებაშვილისა, ილ. ქავჭავაძისა, ვაკტერინე გუბაშვილისა, ივ. მაზაბისა, ნ. ნიკოლაძისა, გ. წერეთლისა, ანტონ ფურცელაძისა და ვევა ფშველასი. თითო ცალი ჰქონდა 75 კ. წმინდა შემოსავლის 10% გადადებულია „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. სურათები კარგს ქაღალდზედ და სუფთად არის გამოკვეთილი.

ხუთშაბათს, 12 ნოემბერს, ველიამინის ქუჩაზედ, გენერალ-მაიორის ა.ს. ენგელის ქვრივის სადგომიდან ვიდაც ქურდმა მოიპარა ბანკის ბილეთები და ფული, სულ 4910 მანეთისა. ქურდს ყუთი გაუტეხია და იქიდან ამოუღია ეს ფული.

გუშინ, 13 ნოემბერს, ტფილისის პოლიციის-ტერმა ლ. პ. მასტიკინი და იმი-სმა თანაშემწეებ გ. ს. კოვალევა, სასანიტარო-სამეურნეო ინსპექტორთან ერთად, ხელ-ახლა დაათვალიერეს თამარშვილის ქარვასლა და იარაგისა და პუშკინის ქუჩაზედ არსებული საზოგადოების ყველა ღუმელი.

წერილი ფოთიდან.

10 ნოემბერს ფოთის ქალაქის საბჭოს კრება ჰქონდა. კრების დაწყებისთანავე, ქალაქის მოურავმა ნ. ი. ნიკოლაძემ წაუკითხა საბჭოს მისის იმპერატორების უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის დეპეშა, პასუხად გამოგზავნილი იმ დეპეშისა, რომლითაც ქალაქის მოურავმა მიულოცა მის იმპერატორების უმაღლესობას 50 წლის სახელმწიფო მოღვაწეობის შესრულება. საბჭომ დიდის აღტაცებით მოისმინა დიდის მთავრის დეპეშა, რომლითაც მისი უმაღლესობა გულთადას მადლობას უცხადებდა ქალაქს მილოცვ-სათვის.

შემდეგ ბ-ნმა მოურავმა მოახსენა საბჭოს, რომ მისმა ყოველდღესაღმდღელოვებამ ეპისკოპოსმა ალექსანდრემ განიზარა—დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის 50 წლის სახელმწიფო სამსახურის შესრულების აღსანიშნავად მისის უმაღლესობის სახელობის ექვს-კლასიანი საე-

პარქიო დედათა სასწავლებელი და: ააროს ფოთშიო. ყოველდღე-ლო ალექსანდრე დეპეშის გაგზავნას აპირებდა მისის უმაღლესობისაგან ნებართვის ასაღებად, მაგრამ პირველად მე შემეკითხა—ქალაქი აღმოუჩნეს სასწავლებელს რაიმე დახმარებას, თუ არაო.

საბჭომ დიდის სიხარულით მიიღო ყოველდღე-ლო ალექსანდრეს განზარება, მით უმეტეს, რომ ღარიბს ფოთს შეძლება არა აქვს—დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის 50 წლის სახელმწიფო სამსახურის დღე რაიმე შესანიშნავ საქმით აღნიშნოს, ქალაქის ხელმოკლეობის გამო საბჭომ მუქთად მიწა დაუთმო და სახლის აშენება აღუთქვა სასწავლებელს; სასწავლებლის უმთავრესს წყაროდ ყოველდღე-ლო საე-პარქიო სანთლის ქარხანა ჰქონია მხედველობაში. ამ ქარხანას მისი მეფეებმა იმ ეზოში უბირებს გამართვას, სადაც თითონვე სცხოვრობს.

11 ნოემბერს კრება ჰქონდა ახლად არჩეულს სასანიტარო კომისიას, რომელსაც ქალაქის მოურავი ნ. ი. ნიკოლაძე თავმჯდომარეობდა. თავმჯდომარის წინადადებით სანიტარებმა ქალაქი ერთმანეთ შორის გაინაწილეს, რათა თითოეულ ნაწილის სანიტარულ მდგომარეობას თითო სანიტარი უნდა ადევნებდეს თვალყურს. სანიტარებმა დაადგინეს, ეხლავე შეეუდგეთ ჩვენის მოვალეობის შესრულებასაო.

ი. იანთელი

სახელდასტელო

(ყბად-საღებო—წყალ-წასაღები ამბავი)

ჩემი წარსული „წიკიურტი“ ემწევა „კვალს“ და საპასუხოდ რომ ვერა მოახერხა-რა, აი ამ გზეთის „კვირიდან კვირამდე“-ს კალამ-ბლაგვმა უსახელო მემეტრიანემ რა სიტყვები მიძღვნა:

...არის ისეთი სულდგმულიც, რომელიც, წინააღმდეგ ბუნების კანონისა, ჩაზმორების დროს დააქვეტს თავლებს და თავის (თავის თუ თავის?) არსებობას სხვებსაც გაავრცელებს. ეს მისი ფართი-ფურთოთა სწორედ გაზაფხულმდის გაატანს და როგორც-ი ბუნება ამხიარულდება, ის თავს ჩაქინდავს და ძილს მიეცემა... ჩაზმორებამდის, რასაკვირველია. არა გვერათ? როცა დავსახელებ(მაშინ ხოწ დაიჯერებთ. ამ სულდგმულის სახელი გახლავთ ჩიტო-ჩიორა“, ხოლო მისი ბუნება გახეილი „ივერია“. „ჩიორას“ სეზონი \*\*) დაიწყო, ის უკვე აწრიონდა და აწრიონდა ისე მაგრამ(დ), რომ მგონი კულზე დაადგეს ფეხი. დიად, კულზე კი ხანია ფეხი დადგეს, მარა (მაგრამ) მან ეს მხოლოდ(დ) ახლა იგრძნო და ახლაც იმით იგრძნო, რომ იაწვარია მოახლოებული და იანვარი, მოგვსწენებთ, საყვანის მომტანი თევა. „ჩიორაც“ აი ამ საყვანისთვის წრიონობს, ის ახლავე ატყობიებს ქვეყანას, მე არ დამივიწყეთ... საბრალო „ჩიორა“! ამში ჩვენც მოგვხმარებთ: ნუ დაივიწყებთ(,) ქართველნი(,) საწყალ

\*) იხ. „ივერია“ № 234.  
\*\*) სეზონი თუ „ალო“? საკვირველია „კვალს“ საქმე, იმავე ნომრის „თეატრის მატრიანეში“ ჩვენი სახიობა“ ავტორი ამ მატრიანის თეატრის სეზონს „ზამთრისალოს“ (sic!) ეძახის, მეორე გვერდზედ—სეზონსა სწერენ, რედაქცია სადა ეშმაკებშია? ეტყობა, „კვალი“ ისეთი გოდორი ყოფილა, რომ ვისაც რა უნდა, შიგ იმას ჩაჭყრის.  
\*\*\*) იხ. „კვალი“ № 46.

„ჩიორას“ და მის ბუნებას ჩურონით-ამდენი შებრალბა... (დამა განმარტებ... მამბის ერთი საკვირველია... \*\*\*)

ჩვენ ეს უაზრო ტირადა საეხებით ამოწვრეთ, რომ დაგვეხებებინა „კვალს“ ახლად მოვლენილ მწერალთა გონებისა და ენა-მახვილობის სივალაზე... აი, ეს ტირადა გახლავს პასუხი ჩვენის წერილისა, რომლითაც „კვალს“ ბ-ნთ ყიფიანისა და გელეიშვილის საქმეში ჩადენილი ლიტერატურული უმართებულობა, ბ-ნ ყიფიანის მიმართ უმიზნო სიძულელით შეიარაღება და ქართულის ენის სიმახინჯე ვუკიყინეთ. დიად, ყოველისავე ამის პასუხი ეს არის, რომ ჩემთვის კულზედ ფეხი დაუდგამთ და ავწრიონებულვარ!.. ამ ენა-დრკულა კალამ-ბლაგვ ტირადიდანაც სჩანს, ვისთვისაც დაუდგამთ კულზედ ფეხი.

ვიმეორებ, ჩვენ ჩვენს წერილში ვამტკიცებდით „კვალს“ მე-44 №-ში დაბეჭდილ შეიდ-სტრიქონიან ამის უმართებულობას, ბ-ნ ყიფიანის მიმართ უმიზნო სიძულელით აღქურვას და ამ გაზეთის თანამშრომელთაგან ქართულის ენის ყოველდღე-ლო უცოდინარობას. ყოველივე ეს ისე ნათლად სჩანდა, რომ სალიტერატურო სასამართლოს დამნაშავეთა სკამზედ მაგრად მიბოქილმა „კვალმა“ პასუხად ვერა სთქვა-რა და საქილიკავოდ მხოლოდ ჩვენი ფსევდონიმი ამოიჩემა. მაგრამ ამ ამოჩემებამდე „კვალმა“ პირველ ნომბრის №-ში კვლავ თავი ამოაყოფინა თავისს უკბილო სიძულულის ბ-ნ ყიფიანის მიმართ და, ამას გარდა, იქვე რუსეთის კანონების ყოველადი უფაცობაც გამოიჩინა, რაც მისთა თანამშრომელთაგან „არახილია—ძველია“. აი, ამისი საბუთი.

ამ ნომერში „კვალმა“ დაბეჭდა „წერილი ქუთაისიდან“—„ყიფიანის და გელეიშვილის საქმე“. ამ წერილში მოყვანილია განაჩენი ქუთაისის მომრიგებელ-მოსამართლისა ბ-ნ ყიფიანისა და გელეიშვილის ჩხუბის შესახებ. განაჩენის დაბეჭდვამდე ავტორი თუ რედაქცია ასე იბოდიშებს თავს:

„ამ საქმის გასაგებათ(დ) ურიგო არ იქნება გვიცნოთ მომრიგებელი მოსამართლის ის საბუთები, რომელზედაც მან ყიფიანის ვამტყუნება დამყარა. აი რას (ს)წერს ის თავის (თუ ფეხის?) მოხსენებაში ოლქის სასამართლოს მიმართ ამ საქმის შესახებ“ \*\*\*).

ნურას ვიტყვი იმის შესახებ, რომ „კვალის“ კორესპონდენტი მომრიგებელ-მოსამართლის დასაბუთებულს განაჩენს (решение, изложено в окончательной форме), ოლქის სასამართლოს მიმართ მოხსენებას უწოდებს, ვიკითხოთ ერთი, რა აზრი აქვს მომრიგებელ-მოსამართლის ოლქის სასამართლოს მიერ უკვე გაუქმებულს განაჩენს, და მაშინ-კი, როდესაც ეს განაჩენი დაბეჭდა „კვალმა“, იგი ხომ უკვე გაუქმებული იყო? ოლქის სასამართლო ხომ უფრო უმაღლესი დაწესებულება და, საუკეთესო იურისტთა აზრით, უფრო სამართლიანიც მომრიგებელ-სასამართლოსთან შედარებით? მის მიერ მომრიგებელ-სასამართლოს განაჩენის გაუქმება ხომ აშკარად ამტკიცებს, რომ იგი არ დასა-

\*\*\*\*) იხ. „კვალი“ № 45.



თანხმება ამ განაჩენში მოხსენებულ საბუთთა და მოსაზრებათ და განაჩენი უსამართლოდ, შემცდარად, უსაფუძვლოდ უცნაო? მაშ რაღა აზრი აქვს იმის დაბეჭდვას, რაც გაუქმებულია, უსაფუძვლოდ, უკანონოდ, უსამართლოდ ცნობილი? თუ იგი დასაბეჭდი იყო, რატომ „კვალმა“, სამართლიანობისათვის მინც, გვერდში თვით ოქლის სასამართლოს დასაბუთებული განაჩენი არ ამოუყენა, რომ იმის მკითხველებს სავსებით დაეცხათ ნაკლი და ღირსება ერთისა/ცა და მეორისა?!

ჰმ, რატომ? იმიტომ რომ „კვალს“ თვალეში სიძულილის დვირე გასჩხირება და მარტო ის მოსწონს, რაც ს. ყიფიანის სახელს აფენებს და ჩირქს მოსცემს, ხოლო რაც ს. ყიფიანის სასარგებლოს ამბობს, ის აბა რა სახსენებელია! თუ ეს არ არის მიზეზი, აბა სხვა ჰბრძანოს „კვალმა“, ჩემის „აწირობის“ გარდა, რაც ისე ენა-ბლაგვად ვითომ-და გამოიყენა ჩემის წინანდელის ბრალდების გასაფუქსავატებლად....

ისე ვერ გავათავებთ ამ წერილს, რომ ყბად არ ავიღოთ და წყალს არ მივცეთ „კვალის“ უვიციობის ერთი ნიმუშიც. თავის ზემოხსენებულს წერილს „კვალი“ ასე აპოლოგებს:

„გელევიშვილის ვეკილს, დარწმუნებულს, რომ უთუთო (დ) მოვიგებო (რას?), დიდი არაფერი ულაპარაკია. მას არც კი მოუწოდებია ბ. ლ. ლოლუას გადაყენება, რის მოთხოვა შევძლო იმ საბუთით, რომ მის წინააღმდეგ 3. გელევიშვილი „ახალ. მიმოზ.“ (ს)წერდა და (1) მასხადაზე (1) ის გელევიშვილის პირადი მოწინააღმდეგე მსაჯული უდნ ყოფილიყო.“

აბა გავსინჯოთ ახლა, შევძლო კი „იმ საბუთით“ 3. გელევიშვილის ვეკილს ბ. ლ. ლოლუას გადაყენება და ამ საბუთს, ასე თამამად წამოსკუბებულს „კვალის“ იულისტის მიერ, საბუთიანობისა ნამცეცი და ნატამალი აქვს რამე? სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესდების მე-8 მუხლში აღნიშნულია მიზეზი, რომელთა გამოც შეიძლება გადაყენება მოსამართლისა \*\*\*\*), და აბა გვიჩვენოს „კვალის“ „იულისტმა“, რომელის მთავანის ძალით შეიძლება ბ. ლ. ლოლუას გადაყენება? ჯერ ერთი, 3. გელევიშვილი თავის წერილებს გვარს არ აწერდა და, თუნდა მოეწერა კიდევ, ეს წერილები იმის ვეკილს, აშკარაა, ვერავითარ საბუთს ვერ მისცემდა მსაჯულის გადაყენებისას. ეს ყველამ იცის, სკოდნია 3. გელევიშვილის ვეკილსაც, არ იცის, ჩვეულებრივ, მხოლოდ მეცნიერმა „კვალმა“ და არ იციან იმისმა „ნახატებიანმა“ თანამშრომლებმა, როგორც ბევრი რამ სხვაც, რასაც ორისავე ხელთ ეპოტინებოან.

გავინილა ასეთი სითამამე, რომ კაცი კანონს ახსენებდეს და ის კა-

ნონი კი არ იცოდეს, არცოდნას ვინა სჩივის, კანონთა წიგნშიაც არ ჩაიხედოს დასაწმენებლად, — ხომ არა ვცდებით?! ასეთი სითამამე მხოლოდ უვიციობას სჩვევია, მეტად-დრე ისეთს „მეცნიერულს“ უვიციობას, როგორც „კვალი“ დასურათხატებული, თუ ზედ სიძულილით დაბრმავებაც დაურთეთ.

ნუ თუ არც ეხლა დარწმუნდებო „კვალი“, რომ იანვრის მოახლოვებამ-კი არ „აგაწირობინა“, არამედ იმან, რომ რა-კი სიცივემ მოუჭირა, „კვალის“ თანამშრომლებმა უფრო მეტად დაიწყეს სისულელეს ჩმახვა?! ნუთუ ვერც ეხლა დანახავს „კულ-ზედ ფეხ-დადგმული“ ვინ არის: მე, ჩიორა, თუ გზაკვალ დაბნეული „ნახატებიანი“ სამეცნიერო კვალი“?!

ჩიორა

### თეატრის მატჩანე

სიული ვან, კომედია 3 მოქმედ., თხზ. მელვილისა, თარგ. დ. მესხისა. სცენები „მიროვი სულიასთან“, ერთ მოქმედ. თხზ. დ. კვხელისა.

გუმინ-წინ, 12 ნოემბერს, ჩვენმა დრამატულმა დასმა პირველად წარმოადგინა ინგლისური პიესა „სიულიან“, ცნობილი კომედია მელვილისა. შინაარსით კომედია მეტად კეთილშობილურის აზრების აღმძვრელია და სცენის ცოდნითაც არის დაწერილი; ერთი ღირსება ამ პიესისა კიდევ ის არის, რომ იგი კარგის ქართულის ენით არის ნათარგმნი ბ. ლ. მესხის მიერ. რაც შეეხება იმის წარმოდგენას... აქ-კი ცოტა უნდა შევდგეთ, თუმცა არა დიდხანს.

პიესის გმირის სიულიანის როლს არდგენდა ბ. ნ. კ. მესხი და მართლაც ჩინებულიც იყო, ალაგ-ალაგ რომ არ დაემახინჯებინა. მაგალითებრ, უძრავად ჯდომა და სახის უმეტველება პირველს მოქმედებაში, როდესაც იგი ნიკოლას ჯენკინს (კანდელაკი) ელაპარაკება და როდესაც ისეთი უცნაური წინადადება ესმის, რომ „ერთი ორად მოგცემთ, რა ფულსაც არტისტობით აიღებთ, ოღონდ ლონდონს, სცენას გაშორდითო“; მისივე მეტის-მეტე შეკრთომა, როდესაც პირველად დინახავს ჯენკინსის ქალს ლელის, ისეთი მეტის-მეტე, რომ იგი გასაოცარია უბრალო მომკვდავისათვისაც-კი, არამც თუ ისეთის გამოცდილისა, გონიერისა და დახელოვნებულის კაცისათვის, როგორც ავტორს მსახიობი სიულიანნი ჰყავს აღწერილი, და, დასასრულ, გადაქარბება მეორე მოქმედებაში სიმთვრალისა. ყოველივე ეს წვრილმანია, რასაკვირველია, მაგრამ ასეთს „წვრილმანსაც“ სცენის საქმეში მნიშვნელობა აქვს.

მშვენიერი იყო ბ. ნ. აბაშიძე მის-ტერ პიკოკის როლში, არა უჭირდათ-რა დანარჩენს არტისტებს და საკმაო ზომიერებით წარმოგვიდგინეს ნაკისრი როლები, მხოლოდ ქნს კარგარეთელს წარსულს წვრილში აღნიშნული ნაკლი კვლავ შევნიშნეთ — ორივე ხელის თითების ერთ-მანეთში უადგილოდ გადახლართვა და მუშტების შეკუმშვა. ამას გარდა, არტისტმა-ქალმა სავსებით ვერ გადმოგვცა ის სიყვარულის გრძნო-

ბით გატაცება, რომლითაც ისე შეპყრობილია ლელი. სტუმართა შორის მისტრის სანდერსი უფრო ტფილი-სელს უბრალო დედაკაცსა ჰგავდა, ვიდრე ინგლისის ფულიან კაცის ცოლს, და დიკონი-კი, სიულიანის მსახური, ისეთის კილოთი ჰლაპარაკობდა, თითქოს ჰამლეტის როლს არდგენსო.

ერთი შენიშვნა სცენის მოწყობის მხრივ. არ ვიცი, ავტორს როგორ აქვს პიესაში, მაგრამ მსახიობ სიულიანის სასტუმრო ოთახში საფარდულე (შირმა) სრულიად უადგილოდ და უმიზეზოდ არის ჩამხირული. იგი თითქოს განგებ დაუდგამთ იმ აზრით, რომ პირველში ლელი დიდილოს და შემდეგ მისი მამა ჯენკინსი. ასეთი აზრი უნებურად ებადება მაყურებელს და ეს-კი ილიუზიას ასახიჩრებს. ამას გარეშე, მსახიობთაც უფუქებს საქმეს, რადგან წარმოუდგენელია, რომ ლელი, მამის საყვარელი ასული, გულ-წასული იყოს იმდენს ხანს და მამა არ მივარდეს მისაშველებლად. ნამდვილად-კი სასუნებელ წამლისათვის წასული სიულიანი იმდენს ხანს იმიტომ იგვიანებს, რომ დრო მისცეს ჯენკინსს (კანდელაკი) და სერ დიუმბლ ფრიდერიკს (შათირიშვილი) მოლაპარაკებისა. ჩვენის აზრით, ამ მოქმედებაში სცენა ორ ოთახად უნდა იყოს მოწყობილი და მამინ ეს შეუსაბამობა აცილებული იქნება. კარგი იქნება არ დაივიწყონ ჩვენის სცენის ხელმძღვანელთ, რომ სულ უბრალო გარემოება-კი მაყურებლის თვალს ეუცხოება, თუნდა ისეთიც, რომ ჯენკინსი და სიულიანის სახლებში ერთი და იგივე აღბოძი და სააღბოშე სამ-ფეხა იყო დადგმული. ყოველივე ეს ჩვენის სცენის მოწყობის მხრივ სიღარიბეს მიეწერება და კარგი იქნება, რომ იგი აცილებულ იყოს.

დასასრულ ცოცხლად წარმოადგინეს უმნიშვნელო და არა ერთხელ ნათამაშვეი „სცენები მიროვი სულიასთან“. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ არ გვემის რა ადგილი ჰქონდა მომრიგებელ-მოსამართლის მაგიდაზედ გეოგრაფიულს გლობუსს და რაც შეეხება მსაჯულს (კანდელაკი), კარგი იქნებოდა სკოდნოდა, რომ როდესაც მომრიგებელი-მოსამართლე განაჩენსა ჰკითხულობს, იგი ფეხზედ არა ჰდგება. ჩვენის სცენის რეჟისორები კარგს იზამენ, რომ უფრო მეტის ყურადღებით მოეკიდნენ მსახიობთა გაწვრთნის საქმეს.

წარმოდგენას დიდი საზოგადოება დაესწრო, თუმცა საგანი წარმოდგენისა (იგი ჩვენის, აწ ავადმყოფის, არტისტის-ქალის ბ. ავალიშვილის სასარგებლოდ იყო გამართული) ისეთი თანასაგრძობი იყო, რომ გვეგონა, — არც ერთი ადგილი არ დაჩემა გაუყიდველიო.

მანოელიძე

### რუსეთი

სატახტო ქალაქის ვაზეთები იუწყებიან, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი ასტრახანის, ორენბურგის და სტავროპოლის გუბერნიებში ერობის შემოღების შესახებო.

— იმავე ვაზეთების სიტყვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუშუშავებია პროექტი იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა იქმნას ხოლომე დაარსებულ სოფლებში სამკურნალოები.

— „P. II.“-ი სწერს: მიწალ-მოქმედების სამინისტროს წარედგინა დასამტკიცებლად პროექტი ყუბანის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წესდებისა. ამ საზოგადოებას სახელად „კოლხიდა“ ეწოდება.

— გზათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ 1899 წელს რუსეთის რკინის გზაზედ მოსამსახურე მკურნალოთა კრება იქმნას მომხდარი ვარშავაში.

— შინაგან საქმეთა სამინისტროში შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშავოს წესდება საპენსიო-სამედიცინო კასისა სახალხო სკოლების მასწავლებელთათვის. ამ კომისიის უკვე ორი კრება ჰქონია. აზრად აქვთ კასის თანხა შეადგინონ იმ ფულიდგან, რომელსაც ყოველწლიურად გამოაკლებენ სახალხო სკოლების მასწავლებელთა ჯამაგირებიდან. ამას გარდა ხაზინიდანაც იქნება გადაღებული ფული. როდესაც საკმაო თანხა შესდგება, მასწავლებელთ პენსია დანიშნებათ იმის და კვალობაზედ, ვის რამდენი აქვს კასაში შეტანილი. ჰუიქობენ, რომ თანხა 15 წლამდის არ შესდგება და პენსიაც ამ ხნის შემდეგ დანიშნებათ მასწავლებელთაო.

— რათა მაჰმადიანთა სასწავლებლებში სწავლის საქმე უკეთ იქმნას დაყენებული, აზრად აქვთ მაჰმადიანთა სახალხო სკოლების მასწავლებელთათვის 1899 წლის ზაფხულს გამართონ განსაკუთრებული კურსები.

### უცხოეთი

**ზღაზიზი.** ეს ქვეყანა შრუსიამ ჩამართვა დანაია ამ 30 წლის წინად და თითონვე შეაერთა. იქ დანაელები სტრუგობენ ჩამოაგლობით, რომელთაც დანაი სრულებითაც არ დაუპყენიათ და შრუსიის ბატონობას ვერ შერეკებან ვერ. ამის გამო შეეკავი-გისა და დანაის მკვიდრთ მსლობედი და მოკავებულება და ხშირი მიმოსვლა აქვთ ერთმანეთთან. ეს გარემოება შრუსიის მთავრობას აზაფრად მოსწონს და ხშირად სასტეგ ღონისძიებასც ხმარობს სოფლე მის წინააღმდეგ.

ამას წინად შრუსიის მთავრობამ ასრუდა მეტი დანაელები მუშა ქალი და კაცი გარეკა შეეკავიგადგან დანაიში. ასეთი საქციელი შირველი არ არის შრუსიის მხრე ამ ქვეყანაში და შრუსიის მთავრობას აზაფრად არ გამოუქვეყნებია თავისის მოქმედების განაიარ-თლებული საბუთი. მთავრობის რომელივე მოხელე ხანდახან იტყუება, რომ ჩვენ არ მოგვწონს ეს თუ ის კაცი, მაზედ მიგზანა და მიტომ ვუკრძალავთ ცხოვრებას შეეკავიგაში. შრუსიის ოფიციალური ვაზეთები ეს-კი უფრო დაწვრთვებით სასხელებენ მიეკავებს, რის გამოც შეეკავიგადგან უკანასკნელად განდევნილ იქმნენ დანაის ქვეყნადგან.

ამ ვაზეთებს თუ დაუკუკრეთ, ეს ქვეყანა სავსეა ათსგავარ პოლიტიკურ წრეებით, რომელთაც სახანდ გაიხადეს შეეკავიგა და ტალშტენი შრუსიის ჩამოაგლობს და ისევე დანაის

შეუერთან. საიდუმლო წრეებსა მსგავსად მომდევნებს ხელს უწყობს მსგავსი წრეების და დანაის უფრო-და-გზავთები. შეეკავიგალები მადან დანაიში და აქ აღტაცებულის სიტყვებით აცხადებენ, რომ დანაი ძლიერ გავიჯანს და შრუსია გვეკავებოდა. შეეკავიგის სახელებს მსლობებდ დანაიში გამართულია აზრის სასწავლებლები, რომლებზედ იზიდავენ შეეკავიგადგან მოსწავლე ახალგაზრდებს. შეეკავიგაში ბევრი წიგნის მაღაზიაა, რომლებშიაც მსოფლოდ დანაიური წიგნებია გასასუიდად. დასასრულ იგივე ვაზეთები ბრალს სდებენ დანაის მთავრობას, რომელიც, ამათსა სიტყვით, ხელს უწყობს გარმანის წინააღმდეგ მოძრაობას. ყოველივე ამის გამოც, ამბობენ იგივე ვაზეთები, გერმანიის მთავრობა იძულებული გახდა ასეთის ავტორიის წინააღმდეგ სასტეგო ღონისძიება ეხმარა.

ასეთი თავის მართლება შრუსიის მხრე დანაიში ყოველად უსაფუძვლოდ მსთავლეს და შრუსიის მოქმედებას ბრალს უდგენს. საკვირველიც არ არის, რომ შრუსიის საქციელს აჯელეკებინოს დონაის საზოგადოება. ზოგიერთები ურჩევდნენ დანაის მთავრობას, რომ შრუსიის სამაგიერო გარდასხად და შენდ გარეკე დანაიდან მასი ქვეყნადგან. მაგრამ ამის ვასუსდა თაკოწონებთა სთქვეს სხეებმა, რომ ვერაფერი შეტოოსნება და დარსება იქნება ჩვენის მხრე ბარბაროსობაში წაუბამოთ შრუსიელებსო.

თავისის შეუფერებელს მოქმედებოთ შრუსიამ არა მარტო დანაიში გამოიწვია ზიზი და მძულვარება, არამედ შეეკავიგისა და ნორვეგიაშიც. ნორვეგიაის სეიმის საფინანსო გამოტეტს თათბირი ჰქონდა ამ საგნის შესახებ გარე-სე საქმეთა მინისტრთან, რომელსაც უკვე ქალაქი ვაუზენია ბერლესში და შრუსიის მთავრობისათვის მისის მოქმედების საბუთი მოუთხოვნია. ერთი სიტყვით ძაფი ვაუზენ გერმანიასა და სკანდინავიის სახელმწიფოთა შორის და აჯელი შესაძლებელია, უსამოვნება ეს-ლანდზედ უფროც გამოეკავდეს. ამიტომ გერმანიის შეგანდნობა, რომ სკანდინავიის, სახელმწიფო-ანი სამთა ვაუ-შირის შემოკრებოლდნენ, სამუდამოდ დაღუბულად უნდა ჩათვალოს.

**ბრიტი.** ერთი ვაზეთი ამტკიცებს, რომ ოფიციალური წარმომადგენს ნამდვილად შეეკავიგა, რომ საბერძნეთის ბატონიშვილს გიორგის კრატის მმართველად მსოფლოდ დრეკებით ნიშნაკენ, სახელად ორა საია წლის ვადით, და ამასთანავე ბატონიშვილი ხონთქრის უსენესის მფლობელობის ქვეშ იქმნებოდა.

— შექრ ფაშას არ სდომებია კრატის დატოვება, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა წასულიყო გემზედ, რომელსაც იგი გონსტანტინეპოლში უნდა წაეყვანა. იქაც ათას ნაირ სერსს ხმარობდა, რომ რამდენსამე ხანს მანდ არ დაძრულიყო გემი. სხვათა შორის ის მოიმიზუნა თურმე, რომ მთავრობასაც არ აზავთარა ფორმალური ინსტრუქცია არ მიმდია ნუმა აქედან წასვლის შესახებო, და ბრძანებას არ იძულებოდა დუსა ახსნათ. მაგრამ ამი-რადღა ბოტემე ეს-ლად დამტკიცა, რომ მას ხუშრობა არ შეეკავს ამ გემის საქმეში და უბრძანა ნადმან გემს „Vatour“-ს — იმ გემს მიუხედავად, რომ მელსედაც შექრ ფაშა არისო. ასეთი ზომამ ფაშა იძულებულ ჰყო ქალიშო.



